საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/160

ქ. ბათუმი 04 ივნისი, 2022 წელი

უწყვეტი განათლების მიმართულებით ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებზე გასაცემი სერტიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 ივნისის №694760 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **მსმენელებზე** გასაცემი სერტიფიკატის ფორმა წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები" და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები" და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და ამავე ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორებს (ქეთევან შოთაძეს, ნინო სამნიძეს, ქეთევან ბერიძეს, თემურ ავალიანს, მამუკა გოგელიას), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

CENTER FOR VOCATIONAL PROGRAMS MANAGEMENT AND LIFELONG LEARNING

სერტიფიკატი
CERTIFICATE

ადასტურებს, რომ _____ წარმატებით გაიარა _____

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი (... საათი).

Confirming that _____ has successfully completed the full course of the short-term educational program _____ (.... hours)

_____

ბსუ-ს რექტორი (სახელი, გვარი)
BSU Rector (Name, Surname)

_____

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი (სახელი, გვარი)
Director of BSU Center For Vocational Programs Management and Lifelong Learning (Name, Surname)

ბრძანების ნომერი:
Basis of Issue, Order: №_____

რეგისტრაციის:
Registration: №_____

__/__/____/ - __/__/____
(მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დაწყების და დასრულების რიცხვი, თვე, წელი)

ბათუმი, _____წელი